სს "თიბისი ბანკი", დიდუბის ფილიალი
JSC "TBC Bank", Didube Branch

349/102-02

28.12.2020

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საჯარო სამართლის იურიდიული პირს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს

თანხმობის წერილი

გაცნობებთ, რომ შპს 'ჰელიქსი'-ს (ს/ნ 404855992) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაქერალა , N 31 , მიმდებარედ, საგანი: დაზუსტებული ფართობი: 257 კვ.მ. საკადასტრო კოდით: 01.17.02.008.122, დატვირთულია სს ,,თიბისი ბანკის" იპოთეკით (იპოთეკის ხელშეკრულება N 1231232835326, დამოწმების თარიღი 30/11/2020 წელი.

სს ,,თიბისი ბანკი'' როგორც იპოთეკარი თანახმაა გაიცეს სამშენებლო ნებართვა და უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.02.008.122), განხორციელდეს ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ისე რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე უცვლელად შენარჩუნდეს სს „თიბისი ბანკი"-ს იპოთეკის უფლება.

სს თიბისი ბანკი

დიდუბის ფილიალის დირექტორი

ბეჟან კოპაძე

სს "თიბისი ბანკი". დიდუბის ფილიალი * JSC TBC BANK. DIDUBE BRANCH * TBC BANK ქანცელარია CHANCELLERY 018064

წერეთლის გამზ. 117
0119 თბილისი, საქართველო

117 Tsereteli Ave.
0119 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38334098239720

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200031640

რეგისტრაციის თარიღი

14.01.2020 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #5/დ.უზნაძის ქ.#16-18,II სართული.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცი წლის თოთხმეტ იანვარს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ჯ.მარჯანიშვილის ქ. #5/ დ.უზნაძის ქ.#16-18, II სართული, მომმართა სს „თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19139556, 11/12/2019 19:15:30) გენერალური დირექტორის მოადგილემ თორნიკე გოგიჩაიშვილმა, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თორნიკე გოგიჩაიშვილმა (დაბ. 24.05.1979 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ირ.აბაშიძის ქ.№86,ბ.21, პ/ნ01010005109, ბარათის № 18ID82597, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 27.03.2019) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი არსი. მან დამიდასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცი წლის თოთხმეტ იანვარს სს „თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19139556, 11/12/2019 19:15:30) გენერალური დირექტორის მოადგილემ თორნიკე გოგიჩაიშვილმა (დაბ. 24.05.1979 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ირ.აბაშიძის ქ.№86,ბ.21, პ/ნ01010005109, ბარათის № 18ID82597, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 27.03.2019) სს„თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალის დირექტორს ზვიად კოპაძეს (პ/ნ 01008024679), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. 'რწმუნებული' ზვიად კოპაძე უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკი"-ს სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, ფილიალის მიერ გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას.საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება ფილიალის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის. წინამდებარე მინდობილობით აგრეთვე ვიწონებ დიდუბის ფილიალის დირექტორის ზვიად კოპაძის (პ/ნ 01008024679), მიერ ორი ათას ოცი წლის თოთხმეტი იანვრის ჩათვლით ხელმოწერილ დოკუმენტაციას/ კონტრაქტებს და მისი დელეგირების ფარგლებში გაცემულ მინდობილობებს;
2. ამ მინდობილობით ზვიად კოპაძეს ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს„თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.
5. 'რწმუნებულს' უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს) მის მიერ შერჩეულ პირს.

   საზღაური: 10.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი, რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით (მ.39).

თორნიკე გოგიჩაიშვილი

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა